კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
მისამართი - მ.ალექსიძის 1/3
ტელეფონი - 032 2 47 42 42

14 აპრილი , თბილისი - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი 14 აპრილს 13:00 საათზე გამოფენას გახსნის. გამოფენას გზად „დედა ენისკენ“ ეწოდება და იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ პირველი გამოცემიდან 140 წლის შესრულებას ეძღვნება.

გამოფენა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ილია აბულაძის სახელობის საგამოფენო დარბაზში გაიმართება და ცენტრი საზოგადოებას შესთავაზებს ექსპოზიციას, რომელზეც წარმოდგენილი იქნება იაკობ გოგებაშვილის მიერ „დედა ენისათვის“ შექმნილი შავი ნაწერები, მისი ხელით ნასწორები, უბის წიგნაკები, წერილები „დედა ენის“ თემატიკაზე, სახელმძღვანელოს განხილვის ოქმები, ოსკარ შმერლინგისეული ილუსტრაციების ორიგინალები, „დედა ენის“ სტამბური კლიშეები, რეპრესირებული აფხაზური „დედა ენის“ ეგზემპლარი ივანე ჯავახიშვილის პირადი ბიბლიოთეკიდან და სხვ.

გამოფენაზე დასწრება თავისუფალია და ყველა მსურველს შეუძლია გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპოზიციის ხილვა. სკოლის მოსწალვეებისათვის კი საგანგებოდ მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამა.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

საკონტაქტო პირი:
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური;
მარიამ ჯაბიძე
mariamjabidze@gmail.com **577 977 199**
თამარ გურგენიძე
friends@manuscript.ac.ge **599 899 628**